ᲡᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲝ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲧᲝᲚᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔᲡ

№ 45 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ 7 1899 წ. № 45

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ხალხის გულის მესაიდუმლე (გაგრძელება) ივ. გომართელისა.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალის“ კორესპონდენციები.—კვირიდან კვირამდე. გ—ოსი.—დოქტორ შულერის გამოკვლევანი ქ. ვენის მუშა ქალთა შესახებ.—პოეტს ლექსა—რე ხაბულიანისა.—ბელგიიდან.—კოპერნიკიდან დარვინამდე (შემდეგი) პ. სურგულაძისა.—სოფლის ცხოვრება სოფლელისა.—იდეალი და ცხოვრება (დასასრული) ელ. წერეთლისა.—წერილები რედაქციის მიმართ და „კვალის“ ფოსტა.

რედაქციის ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5, იმის პირდაპირ, სადაც წინეთ რედაქცია იმყოფებოდა.

ხალხის გულის მესაიდუმლე.

(თხზულებები ეგ. ნინოშვილისა.)

(გაგრძელება *)

Иныхъ временъ, иныхъ картинъ
Провижу я начало. Некрасовъ.

IX.

დესპინე გრძნობდა, რომ სპირიდონის „მეცადინეობით ის ადამიანი გამოვიდა, მისი მეცადინეობით აეხილა თვალები“; ამიტომ იმდენათ შეუყვარდა სპირიდონი, რომ უიმისოთ ცხოვრება აღარ შეეძლო. ერთხელ პირდაპირ გამოუცხადა სპირიდონს, უშენოთ გაძლება აღარ შემიძლიაო; ყმაწვილი ქალისაგან ეს იგივე სიყვარულის გამოცხადება იყო; სპირიდონსაც დიდიხანია უყვარდა დესპინე, ბევრი უძილო ღამეები გაეტარებია, მაგრამ ეგონა, რომ დესპინე მას, როგორც მეგობარს ისე უყურებდა მხოლოთ, ამიტომ სიყვარულს თავისსავე გულში იხმობდა. კიდეც რომ დარწმუნებულიყო სპირიდონი, რომ ის დესპინეს უყვარდა, მაინც არ გაუმხელდა თავის გრძნობას; ერთი რომ სპირიდონი ძალიან უკმაყოფილოა თავისი გარეგნობით, ამას ამტკიცებს მისი აღტაცება ტარიელის დანახვაზე, მეორე—სპირიდონს სხვანაირათ ესმის სიყვარული, —მან იცის, რომ სნეული კაცია, ღარიბი, მისი ცხოვრების გზა ეკლიანია, ბევრი ტანჯვა და ვარამი მოელის, ამიტომ თავის თავს ეკითხება: რა უფლება მაქვს ყოველივე ეს სხვას გავუნაწილო და ბედნიერების მაგიერ უბედურება მივაყენოო. მან იცის, რომ სიყვარული გრძნობაა, გრძნობა კი გონების მორჩილი უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში. არც დესპინე უარჰყოფს, რომ გრძნობა გონების მორჩილი უნდა იყოს, ხოლო გრძნობას არ ხდის ის გონების ყურმოჭრილ მონათ: თუ კი გრძნობაში გონება ვერავითარ უზნეობას ვერ ხედავს, მას უფლება არა აქვს ის შებორკოს. გარდა ამისა, სიყვარულიც სხვანაირათ ესმის დესპინეს, ვიდრე სპირიდონს. სპირიდონს გარეგნობა და შეძლება ისეთ აუცილებელ თვისებათ მიაჩნია, უოროლისოთაც გონებამ უარი უნდა უთხრას სიყვარულს; დესპინეს თვალში კი ამ გვარი თვისებები მხოლოთ

*) იხ. „კვალი“, №-44.

„წვრილმანი ანგარიშებია, რომლებიც სიყვარულთან მოსახსენებელი არ არიან“. დესპინეს ცოტა არ იყოს, იდეალურათა აქეს სიყვარული წარმოდგენილი, მაგრამ სხვა გვარი წარმოდგენის რომ იყოს ამ გრძნობის შესახებ, შეუძლებელია; ის ისეთი ადამიანია, რომ სულიერ მხარეს უფრო მეტათ აფასებს, ვიდრე გარეგნობას: სპირიდონიც კი სიამოვნებით შეჰყურებს ტარიელის ახოვანებას და, თუ მხედველობაში მივიღებთ მის ფიზიკურ სისუსტეს და ულაზათობას, შეიძლება კიდეც შენატროდა ტარიელს, როცა ამბობდა: „იმ ქვეყანას, რომელსაც შეუძლია აღზარდოს ასეთი შვილები, თავი უნდა მოწონდესო“. დესპინე კი, მიუხედავათ იმისა, რომ ზოგიერთ მხარეში იდეალისტკა არის, ბევრ რასმე სარგებლობის თვალით უყურებს: მან იცის, რომ უწინდელ დროში ტარიელისთანა რაინდებს მნიშვნელება ჰქონდათ; ამიტომ ძველ დროში რომ დაბადებულიყო, კიდეც მოეწონებოდა ტარიელისთანა პირები; დღეს კი ცალიერ გარეგნობას პროგრესში არავითარი მნიშვნელობა არა აქეს; ამიტომ მარტო „ბევრი ხორცი“ აღარ მოწონს მას. რამ განავითარა დესპინეში ასეთი შეხედულება ადამიანის ღირსებაზე, სიყვარულზე? გარეგნობით თავიდანვე არ მოწონდა დესპინეს სპირიდონი, მაგრამ სპირიდონი ლამაზიც რომ ყოფილიყო, დესპინე მაშინაც არ შეიყვარებდა, თუ გარეგნობის მეტს მასში ვერას ჰპოებდა. დესპინეს საღი ბუნება სინათლისაკენ მიისწრაფოდა; ის ეძებდა სულიერ სილამაზეს და არა ხორციელს; რაც უფრო აშკარავდებოდა დესპინეს წინაშე სპირიდონის სულიერი ღირსება, მისი გარეგნობა თან და თან ჰკარგავდა დესპინეს თვალში მნიშვნელობას, დესპინეს თან და თან ებადებოდა ამ „სასაცილო“ სპირიდონისადმი სიყვარული. როდესაც სპირიდონის წყალობით მას გაუბრწყინდა გონება, შეიგნო, რაში მდგომარეობდა ადამიანის ღირსება, მისი დანიშნულება, მას არ შეეძლო ღრმა სიყვარული არ ეგრძნო იმ კაცისადმი, რომელიც ერთი მხრივ მიზეზი იყო მისი ადამიანათ გახდომის, მეორე მხრივ სრულიად შეეფერებოდა მის წარმოდგენას ღირსეული ადამიანის შესახებ. როდესაც დესპინემ სიყვარული გამოუცხადა სპირიდონს, ეს არ იყო პირველი, მოუფიქრებელი გრძნობა, როგორც სპირიდონს ეგონა: ეს იყო გრძნობა, რომელიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში ვითარდებოდა და იზრდებოდა იმის გონებასთან ერთათ. როდესაც მას აზროვნება განუვითარდა, გონება გაუბრწყინდა, ეს გრძნობაც ისე გაძლიერდა, იმდენათ მოსაზრებული და მომწიფებული იყო, რომ მისი შეკავება, ჩახშობა აღარ შეიძლებოდა. ამიტომ გამოუცხადა ჩვიდმეტი წლის დესპინემ სპირიდონს ასე თამამათ: — „დიდი ხანია, გადაწყვეტილი მაქეს, უშენოთ სიცოცხლე არ შემიძლიაო“. დესპინე არც ერთ სიტყვას არ ამბობდა ყალბათ და გარდამეტებულათ ამ დროს; მას მართლაც აღარ შეეძლო უსპირიდონოთ სიცოცხლე: მისი სიყვარული აგებული იყო სულიერ მხარეზე და არა გარეგნობაზე, გარეგნობაზე აგებული სიყვარული მალე ჰქრება, ხოლო სიყვარული სულიერ მხარეზე დამყარებული არაოდეს არ იძლევა და არ ქრება. დესპინეს გონება საზრდოს მოითხოვდა; ვინ მიაწვდიდა მას ასეთ საზრდოს, თუ სპირიდონს დაშორდებოდა? მის ბუნებას სხვისი დახმარება, სხვისი სამსახური იზიდავდა; ასეთი იყო სპირიდონის წყურვილიც. ამ ორ არსებათა შორის სულიერი კავშირი არსებობდა და, რაკი ერთმანეთი იცნეს, მათი დაშორება ორივესათვის შეუძლებელი იყო. სპირიდონი და დესპინე — ორივე ერთათ შეუდგენ იმ მიზნის განხორციელებას, რომელშიაც ისინი თავის დანიშნულებას ხედავდენ. ორივე ერთათ ზრუნავდენ სკოლისათვის, ბავშებისათვის; თავისი მოქმედებით ყველას შეაყვარეს თავი. თავისუფალ დროს ისინი მუდამ წიგნებს კითხულობდენ და როგორც ბეჯითი შეგირდები, ისე მეცადინეობდენ. ბევრი ასეთი პირები, რომლებსაც ცოდნა მხოლოთ ცოდნისათვის უნდათ, განვითარება მხოლოთ განვითარებისათვის, — შეიძენენ ცოდნას, განავითარებენ გონებას და მათ სიამოვნებას საზღვარი აღარა აქეს: მათ მიაღწიეს თავის მიზანს, ახლა თავის სიშვენიერით ტკბებიან და სრული კმაყოფილი არიან! ასეთ პირებს დაეწყებული აქვსთ, რომ განათლება მხოლოთ საშუალება არის და არა მიზანი. განათლების მიზანი ორ გვარი შეიძლება: ადამიანი ან მისთვის ეტანება განათლებას, რომ გონება გაიხსნას და საკუთარი ცხოვრება გაიუმჯობესოს, პირადი ბედნიერებისთვის იზრუნოს, ან თავის თავთან ერთათ უფრო სხვისი ცხოვრების გაუმჯობესობას ცდილობდეს. პირველი მიზანი არავითარ საქებ საქმეს არ შეადგენს: გონების განსპეტაკება მხოლოთ იმას მოანდომო, რომ შენი ცოდნით შენვე დატკბე, წელებზე ქონი დაიხვიო და მუცელი ვაიზარდო, არავითარი სახელია. განვითარება და განათლება მაშინ არის ჭეშმარიტი, პატიოსანი, პატივსადები, როცა ერთათ-ერთ მიზნათ სხვისთვის ზრუნვა, სხვების გონებრივათ და ზნეობრივათ ამაღლება დაუსახავს. ასეთ პირების რიცხვს ეკუთვნიან სპირიდონი და დესპინე. მათ უნდათ ხალხს სარგებლობა მოუტანონ. ამისათვის კი საჭიროა იმის ცოდნა, თუ რა ეჭირვება ხალხს, როგორ შეიძლება მისი შველა; მათ უნდათ, ხალხი წარმატების გზაზე დააყენონ; ამისთვის კი საჭიროა, ჯერ თვითონ გამოირკვიონ რაში მდგომარეობს ხალხის წარმატება. აი მხოლოთ ამიტომ

ეტანებოდენ დესპინე და სპირიდონი, თვით—განვითარებას, რომ ხალხის საჭიროება, მისი ინტერესები შეეგნოთ და საუკეთესო გზა მოენახათ ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლათ.

ჩვენი სოფელი უპატრონოთ არის დატოვებული, მის წარმატებისათვის, მის კეთილდღეობისათვის არავინ ზრუნავს; გლეხის ტვირთის შემამსუბუქებელი, მის გარშემო წყვდიადის გამფანტველი არავინ არის! მაგრამ არა, გლეხის პატრონობა სპირიდონისთანა პირებს უდვიათ კისერზე. მაშინ, როცა საზოგადო ინტერესები ყველას მიერ დაიწყებულია, როცა საზოგადო მოღვაწეობა პირადობის გესლითა და შურით იშხამება, მხოლოთ სპირიდონისთანა პირებს უკისრიათ სოფლის მფარველობა, ხალხის ტვირთის შემსუბუქება, მათ არ იზიდავს არც სახელი, არც დიდება; ისინი შრომობენ ისე, რომ მათ არავინ იცნობს, ისინი მიდიან ეკლიან გზაზე ისე, რომ მათ არავინ ხედავს; მაგრამ მათ უანგარო მოღვაწეობას ნელ-ნელა მოაქვს ნაყოფი.

(შემდეგი იქნება) X

ივ. გომართელი.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ᲒᲠᲔᲓᲘᲡᲛᲘᲢᲘᲓᲐᲜ იუწყებიან, რომ 9 ნოემბერს გათენებისას ატყდა ზარბაზნების სროლა. ბურებ ს რამდენიმე რაზმი 1500 იარდს მანძილზე მიუახლოვდა ბრიტანიის ციხე-სიმაგრეებს, აქ კი ზარბაზნების სროლა შეაჩერეს და თოფების სროლა ატეხეს; მეფკინგთან და კიმბერლეისთან მშვიდობიანობაა.

—

გუშინ, 4 ნოემბერს, ქართული დრამატიულ საზოგადოების დეპუტაცია წარუდგა მისს ბრწყინვალებას კავკასიის მთავარმართებელს თავ. გოლიცინს მადლობის გადასახდელათ უხვი შემოწირულებისათვის და საპატიო წევრის წოდების მიღების სათხოვრათ. თავ. გოლიცინმა ინახულა დეპუტაცია და საპატიო წევრის წოდების მიღებაც ინება.

—

ხუთშაბათს, 4 ნოემბერს, ქართველ არტისტებისაგან წარმოდგენილ იქმნა „ბედნიერი დღე“ და „ხანუმიდან“ მეორე მოქმედება; როგორც პირველმა, ისე მეორე პიესამ მწყობრათ და კარგათ ჩაიარა. ჩინებულათ შეასრულა თავისი როლი ჩვენმა ახალმა არტისტმა ქალმა ქ. ა. აბაშიძემ. რა თქმა უნდა რამდენიმე წვრილი ნაკლულევანება აქვს ამ ახალგაზდა მოთამაშეს, მაგალითათ, ხმა ვერ აქვს ჯერ-ჯერობით კარგათ შემუშავებული, რაც ხშირათ ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელზე და სხვა... მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ მომავალში ქ. ა. აბაშიძე ჩვენი სცენის ვარსკვლავათ გახდება. შეენიერი იყო გაბუნია-ცაგარლისა ოლგა ნიკოლაევნას როლში, მხოლოთ ჩვენ ეურჩევთ, რომ ზოგიერთ სცენებს ნუ ამლაშებს, თორემ ამითი ბევრს ჰკარგავს ეს ნიჭიერი ქალი საზოგადოების თვალში. საუცხოო იყო ქ. ჩერქეზიშვილისა სარას როლში. არა უშავდა რა ქ. კავთელსაც. საზოგადოება კარგა ბლომათ დაესწრო და ქ. ა. აბაშიძეს საჩუქარიც მიართვეს.

—

კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა შეატყობინა ბათომის ქალაქის მოურავს, რომ საერო განათლების მინისტრმა, დაინახა რა საჭიროთ ბათომში ს.ქალები გიმნაზიის დაარსება მარიამის სასწავლებლის გარდა, სცნო, რომ ბათომის ქალაქის მმართველობა დახმარებას მიიღებს სამინისტროსაგან ორი ათასი მანეთით წლიურათ თუ იკისრებს ქალაქის ფულიდან ხარჯის გაღებას სამოსწავლო გარდასახადის მისამატებლათო. ამასთან მზრუნველი დასძენს, რომ გიმნაზიის შესანახათ საჭირო იქნება სულ მცირე—წელიწადში 13,300 მან. სადგომის დასაქირავებელ ხარჯის გარდა. სამოსწავლო გარდასახადი კი მზრუნველის გამოანგარიშებით ულრის წელიწადში სულ მცირე—12,000 მან. და, მაშასადემე, ქალაქმა ყოველ წლივ უნდა გაიღოს მხოლოთ 1,300 მან. და სადგომის ფული.

„კვალის“ კორესპონდენციები.

Ბ. ᲑᲐᲗᲝᲛᲘ. 24 ოქტომბერს ქართ. სკოლის კომიტეტისაგან სკოლის კითხვების განსახილველათ მოწვეულ კრებაზე თავმჯდომარეობდა ბ. ეოლსკი, რომელმაც ძალიან გრძელი სიტყვა წარმოთქვა; ხან მთისა თქვა, ხან ბარის და ბოლოს, როგორც იყო, გამოიკვა, რომ თურმე სკოლას ნიეთიერი წყაროები დაშრობია და... კომიტეტს განუზრახავს სასწავლო გადასახადი შემოიღოს.

უმეტესობამ ამ წინადადების წინააღმდეგ პროტესტი გაუცხადა სხვათა შორის იმ მოსაზრებითაც, რომ სკოლას, რომელმაც სწავლის უფასობით უფრო მოიპოვა საზოგადოების თანაგრძნობა, სწავლის გადასახადის შემოღება ერთ საუკეთესო წყაროს, საზოგადოების თანამოქმედებას, დაუკარგავსო. ესეც არ იყოს, გადასახადი არც იმოდენა ლუკმას შეადგენს, რომ სკოლის კუჭმა შეიტყოსო. ამიტომ უმჯობესია სხვა წყარო გამოვნახოთო. ბევრ სჯასა და ბაასს შემდეგ ზემოხსენებული კითხვა სხვა დროსთვის გადადეს, ხოლო ამ ხანათ კი საუმჯობესოთ იცნეს

შემდეგი საშუალებანი: 1) იშუამდგომლოს ან კომიტეტმა და ან, ქარ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგადოების წარმომადგენელმა ბათომის საბჭოს წინაშე, რათა კეთილ ინებოს საბჭომ და დახმარება აღმოუჩინოს ნიეთიერათ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფ სკოლას; დაცვა შუამდგომლობისა კი საბჭოში ხმოსანთა შორის დაავალეს ბ. კარლო ჩხეიძეს. 2) თხოვონ ბათ. საურთ. ბანკის ქართველ წევრებს, რათა კეთილ ინებონ და დიეიდენდიდან რამოდენიმე წილი სკოლის სასარგებლოთ გადადონ; უკანასკნელ საშუალებაზე ზრუნვა მიანდვეს ბ. საბაევს. არ ვიცით რა შედეგი მოჰყვება ან პირველს, ან მეორეს, მხოლოთ ეს კი ვიცით, რომ ბათომის სკოლაში შეგირდები მეტია და მასწავლებელი ცოტა, ეინმე სენაკისაში პირველში უფრო კარგათ მიდის სწავლა, ეინემ მეორეში. მიუხედავათ ამისა, პირველს სამი ათასი არც კი ეძლევა წელიწადში, და მეორე კი 7000 მ. ყლაპავს. ასეთი უშველებელი „პროტიეორეჩიეც“ ალარ გესმენია!

Canaille.

—

ბარცხანა (კინტრიშის განყოფილების ნაწილი) ქ. ბათომს, აღმოსავლეთის მხრით ჩამოუდის პატარა მდინარე, რომელსაც ბარცხანის წყალს ეძახიან. ამ მდინარის ნაპირები 18—20 წლის წინათ დაფარული იყო ხე-ტყით და ბარდ-ეკალით, განსაკუთრებით მარჯვნივ, სადაც დღეს ბარცხანელები ცხოვრებენ. მარა მას შემდეგ დრონი იცვალენ და ბარცხანას არე-მარემაც სახე გამოიცვალა. ის ტყე და შარდეკალი გაიკაფ-გაიჩეხა; მისი მიდამო მისუფთავ-მოსუფთავდა. ტლაპო-ჭენჭყოები ამოშრა და იქაურობა შვენიერ საცხოვრებელ ალაგათ გადაიქცა და ზედ კარგა ბლომათ მცხოვრებლებიც დაესახლენ.

რამდენათ სისწრაფით მოხდა აქაურობის გაშენება-დასახლება, იმდენათვე გაიზარდა მიწის ფასიც, ისე რომ, თუ 10 წლის წინათ ოთხ-კუთხი საჟენი მიწის ფასი 20 კაპ. არ აღემატებოდა დღეს 3 მან. ფასობს. რამ გამოიწვია ასეთი ზრდა მიწის ფასისა და ხალხის დასახლებისა? აი, რამ: რკინის გზის ლიანდაგის გამოყვანისათანავე ბარცხანას წყლის მარცხენა ნაპირი იყიდეს დიდმა კაპიტალისტებმა და ნავთის ქარხნები ააშენეს ზედ. ამათ რასაკვირველია მუშა ხელი ბლომათ დაჭირდათ; იმ დროს, ბათომში, ბინა ე. ი. სადგომი სახლები, თვით მკვიდრთა და წარჩინებულთათვისაც ძვირობდა, თვარა მუშებისთვის ხომ ამგვარები, „არ ახალია ძველია“. ამასთანავე, ქარხნები, ქალაქზე კარგა საკმაოთ მოშორებულია და ოთხჯერ დღეში იმ საძაგელი გზის ტკეპნა, როგორიც მაშინ იყო მეტათ სამძიმო იყო ამისთვ-ს ისევ ბარცხანას მარჯვენა ნაპირზე გასვლა-არ-ჩია მუშამ; გავიდა, იქვე თვით მდინარის ახლო ცოტა ადგილი მოკაფა, ფიცრულისახლი ააშენა და გადავიდა საცხოვრებლათ. პირველს მეორე გაუჩნდა მიმბაძველი, მეორეს მესამე და სულ ცოტა ხანში მუშების უმეტესობა დაესახლენ იქ. პირველი ნაბიჯი იქ დასახლებისა ამ გვარი იყო, მერმე უფრო გავრცელებული და გაუმჯობესებული, მხოლოთ დღეს კი გამარჯვება მარტო შეძლებულთ დარჩათ, როგორც ყველა სხვა საქმე, ესეც იმ კანონს დაექვემდებარა, ზოგმა იმათგანმა მიწაც მ-ისაკუთრა, მარა ზოგს კი მისაკუთრების სურვილმა თავისი დაღიც დაასვა. ასეა თუ ისე, დღეს ბარცხანა საუკეთესო ნაწილია ბათომის არე-მარის, როგორც ჰაერით და სასმელი წყლით „სოუქ-სუთი“, აგრეთვე საბანაო ზღვით და ბარცხანის წყაროთ. ამ საუკეთესო ალაგზეა მოთავსებული მუშათა უმეტესობა: ეროვნულათ: ქართველები და რუსები; უმეტესობა ქართველებ ა. დანარჩენ ეროვნებას აქ ვერც შეხვედებით, თუ მხედველობაში არ მიეიღებთ ზაფხულში საბანაოთ ამოსულთ ბაზრიდან: ოსმალელ-სპარსელ სომეხ და ბერძენთ.

თუმცა ბუნებას აქაურობა ძლიერ დაუჯილდოვებია, მარა თვით ბუნების შვილთ, თავის სასარგებლოთ ვერავითარი საზოგადო რამ ვერ მოუხერხებიათ აქ; კერძო კი ბევრი, როგორც ზევით მოგახსენეთ. აქ არ არის არავითარი წყარო გონების მასაზრდოებელი, არ არის არავითარი გასართობი გარდა სამეკიტნოებისა; სკოლა და ეკლესია ერთი საათის სასიარულოზეა და შორეული ბულვარი კიდევ უფრო შორს. თუმცა ეს ასეა, მარა იშვიათათ ნახავთ მოწყენილ ბარცხანელს სამეკიტნოების წყალობით. საკვირველი-კი ბევრს ცუდ გუნებაზე აყენებს „ნაპალუჩკეს“.

ამ დროს აქ გაცხარებული თამაშია კარტის და ნარდის, შორს ისმის „ფასოს“ და „ოლლუმ კამათელო“ს ძახილი.. უკან არ რჩებიან დიდებს პატარებიც, ზოგი ამათგანი დახელოვნებული მოთამაშეც არის. საჭიროა ზომის მიღება, რომ ეს სენი მოისპოს. ბარცხანლების წარსული არაფერი სასახელოა, აწმყოც ვერაა სასურველათ მოწყობილი, მხოლოთ ერთიორი, ცოტა შეგნებული ახალ-გაზდა კი მოიპოვება. მარა ამათი რიცხვი ჯერ ძალიან ცოტაა.

ცოტნაძე ნიკოთი.

კვირიდან კვირამდე

ტუვილი შიში.—სხვისი მიტკაცებულის ტირილი.—„სუფთა“ ლ „კასკრილი“ სალხი.—პატრიოტობა თუ ჯიბის ინტერესი.—სასედი ცხვრისა, სახრავი მგლისა.

საშინელი ღამე იყო ჩემთვის ორშაბათი ღამე! მკითხველს ალბათ ეცოდინება, რომ სწორეთ ამ რი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხეში მეცნიერთა გამოანგარიშებით ვარსკვლავთა წვიმა უნდა მოსულიყო. მთელი ღამე ტანთ არ გამიხდია, თვალებზე ძილი არ მომკარებია. ვინ იცის, ვფიქრობდი, ეის აუტირებს დედას ზეციდან მოგლეჯილი ვარსკვლავი. როგორც კი გათენდა, უძილობით გაბრუებული ლოგინიდან წამოვხტი, საჩქაროთ პირზე წყალი შევისხი და ქალაქისაკენ გავსწიე. გამოველ თუ არა სახლიდან წინ გაზეთების დამტარებელი შემეჩეხა.—აბა, ძმობილო, რა იცი ახალი, წუხელი უბედურება ხომ არა მომხდარა რა?,—შეეკითხე მე მას და საჩქაროთ გაზეთებს შინ ჯვა დავუწყე.—ახალი მაგრე რიგათ არაფერი, გარდა იმისა, რომ დღეს „ივერია“ აღარ გამოსულა, მომიგო მან დაბალი ხმით. და როგორ?! ნუ თუ „ივერია“—ეს ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი, შაღალ იდეალთა მატარებელი, ეს მედგარი მებრძოლი, ძალ მომრეობის და ბოროტების წინააღმდეგი, ნუ თუ ეს გაზეთი შეიქნა წუხელი მსხვერპლი ულმობელი ბუნების სტიქიონისა?! საზარელი ხმით შეეყვირე და იქვე მუხლი მომეკეცა.—არა, ბატონო, დამამშვიდა მოსაუბრემ, ბუნების სტიქიონი აქ რა შუაშია, მიზეზი სულ უბრალოა, და ხვალ ისევ ესე გამოვა, როგორც აქამდის. ერთბაშათ გულზე მომეშვა, სასოებით პირჯვარი გადვისახე და გავსწიე წინ.

***

. გახარებული ნიავსავით მივქროდი, როცა უცებ პატარა ბიჭმა ხელში რალაც ქაღალდი მომაჩეჩა; დავხედე, განცხადება აღმოჩნდა, რომლითაც აცტეკების მოძეყვანი გვიწვევდა გვენახა ორი უკანასკნელი წარმოადგენელი აფრიკის ერთი ველური ხალხისა. წავიკითხე და მწარეთ გამეცინა. ღმერთო ჩემო! რალა აცტეკებისა გვცხელა, როცა ჩვენსავე ქალაქში, ჩვენივე მოზარდი თაობა გადაშენების გზას დადგომია. გაჩერდით დილის 7 საათზე რომელი ქარხნის ან ზავოდის კარებთანაც გინდათ, საცა კი ბავშის ძალას ხმარობენ, ნახეთ მათი გაცრეცილი, ჩაყვითლებული პირის სახე, ღრმათ ჩაცვინული თვალები, ზანტი, მოდუნებული სიარული, უსიცოცხლო გამომეტყველება და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველა ისინი გადაშენების გზას დადგომია; მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ და აცტეკების სანახავათ კი გავრბივართ.

***

რას ბრძანებთ, მუშა ხალხის დარდი გვაქვს კი არა, მათთან ახლოს მისვლისაც კი გვეშინია, რომ ტანსამოსი არ გაგვისვარონ. Т. Л.-ის ერთი კორესპონდენტი იმითია აღშფოთებული, რომ თფილისის I და II კლასის ბუფეტში „სუფთა“ საზოგადოებასთან ერთათ ათასი დაფლეთილი და გასვრილი მუშა ხალხი ირევა. დიახაც რომ ასაშფოთებელია! ერთი მიბრძანეთ, რა სასიამოვნოა, შენი ჰირიმე, სპეტაკ პალტოზე ბინძური მუშა თავისი გაქონილი ხალათით წაგეხახუნოს! სწორეთ საბუთიანათ თხოულობს კორესპონდენტი „სუფთა“ ხალხის მუშათაგან განცალკევებას. რას იზამ!. ქონებრივი განსხვავება ბადებს ამ მიუკარებლობას.

***

მხოლოთ რითი ხელმძღვანელობდენ მოზდოკელები, როცა თავიანთ „დამხმარებელთა საზოგადოების“ წესდებაში ასეთი მუხლი შეჰქონდათ: არც ერთ სომეხს ჩვენ ამხანაგობაში შემოსვლის ნება არ ჰქონდესო? უეჭველია იქ ეროვნული მიუკარებლობა გაბატონებულა, ეგრეთ წოდებულ მეავე პატრიოტობას აღუმართავს თავისი საზიზღარი დროშა. საყურადღებო აქ ის არის, რომ, როცა ამხანაგობას სომეხთა ეაჭრების მეტოქეობით სულის ღაფვა დაუწყია, პატრიოტები კომპრომისზე წასულან: ეს პარაგრაფი სრულიად ამოუღიათ. დახეთ, რა მალე შეკვეცია პატრიოტობას ფრთა, როცა კითხვა ჯიბეზე მიმდგარა.

***

და კარგი იქნება აქაურ სახალხო თეატრის უწესოებასაც ფრთა შეეკვეცოს. სახალხო იმიტომ ჰქვია, რომ დაბალმა, ღარიბმა ხალხმა იაროს შიგ; აქ კი „შუბიანებს“ და „ცილინდრიანებს“ ხშირათ უფრო მეტი ადგილი უჭირავთ, ვინემ პირველთ. ბილეთებიც ადგილების რიცხვის მიხედვით უნდა გაიყიდოს, რომ დამსწრენი სივიწროვის გამო ერთმანეთს თავზე არ ასხდენ, რის გამო ერთი დაუსრულებელი ჩოჩქოლი და აყალ-მაყალია; ეს რომ არ იყოს, მაშინ ხომ არც ორატორთ მოუნდებოდათ წარმოდგენის დროს „ნოტაციის“ კითხვა, რაც კიდევ უფრო დიდ ხმაურობასა და სიცილს იწვევს.

ბ—ო.

დოქტორ შულერის გამოკვლევანი ქ. ვენის მუშა ქალთა შესახებ.

დოქტორი შულერის გამოკვლევანი შემდეგ ცნობებს იძლევიან მუშა ქალთა შესახებ ვენაში (ავსტრიის სატახტო ქალაქში): სამრეწველო მუშათა შორის ავსტრიაში მუშა ქალთა რიცხვი 25%-ს აღემატება, ხოლო საეაჭრო საქმეებში მათი რიცხვი 29.4 პროცენტზე მეტია. თვითონ ვენაში 116,250 მუშა ქალი ითვლება (გარდა იმ 80,000 ქალისა, რომელნიც შინა მოსამსახურეებათ ითვლებიან). 151 შემთხვევაში უდიდესი ხელფასი მუშა ქალის ადის 3 მან.

60 კ. კვირაში, 29 შემთხვევაში 3—60 კ. —4 მ. 40 კაპეიკამდე და ამაზე ზევით ეძლევა ქირა მხოლოთ 31 შემთხვევაში. საზოგადოთ მუშა ქალთა უმცირესი ხელფასია კვირაში 1 მ. 40 კაპ. (მაგ. მეპაპიროსე ქალთა), უდიდესი ხელფასი 12 მანეთამდე კვირაში (მაგ. საქალო სამკაულების კეთება—ჭრაკერვა და სხვ.) საშუალო რიცხვით მუშა ქალთა ქირა ვენაში 3 მ. 60 კაპ. 4 მანეთამდე ადის. ამ ქირას თვითონ ქალები ნორმალურ ქირათ თვლიან და რასაც ამას ზევით მოიმუშავებენ ის საუკეთესო ქირათ ითვლება. კომისიის გამოკვლევით კი სასტიკ მიუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ მუშა ქალისათვის საჭიროა 3 მან. 80 კაპეიკზე არა ნაკლები. როგორც ხედავთ, ჩვეულებრივი ქირა ამ მიუცილებელ მოთხოვნილებებსაც კი ვერ უკმაყოფილებს ვენის მუშა ქალს. აქედან შემდეგი დასკვნაა: ვენის მუშა ქალს შეუძლია იცხოვროს თავისი ხელფასით მხოლოთ შემდეგი პირობებით: არავის არ უნდა დაეხმაროს, ყოველგვარი სიამოვნება უნდა მოიკლოს, მოერიდოს ყოველგვარ პაწია ზედმეტ ხარჯსაც კი, არასოდეს ავათ არ უნდა გახდეს და პირიქით, მუდამ უნდა იმუშაოს. მუშაობის მსურველ ქალთა რიცხვი მუდამ ბევრია; მუშაობის დაწყების წინ მრავალი გასათხოვარი და გათხოვილი ქალები იყრიან თავს ფაბრიკების წინ, სადაც „მასტერი“ ამოარჩევს მათში და ღებულობს ჩვეულებრივ ასეგზდებს და ლამაზებს. რაკი საჭირო რიცხვი შეივსება მაგ ათ კეტვენ ალაყაფის კარებს და მრავალი მუშა ქალი ღეთის ანაბარათ რჩება.

შიმშილით რომ არ მოკვდეს, მუშა ქალი იძულებულია „გადადოს“ რამე თავის ქრილიდან „ცუდათობის“ დროსათვის. ხორცს ისინი არაოდეს არ ჭამენ, გარდა კვირა დღეებისა და მაშინაც უჩივიან, რომ წყენთ ეს მათი შეუჩვეველი საჭმელი. კართოფილის სუპი და მწვანილი, ცოტა პური და რაღაც ყავის მსგავსი სასმელი—ეი მთელი საჭმელი ვენელ მუშა ქალისა. რადგან „გადადება“ შეუძლიათ მხოლოთ ზაშინ, თუ საჭმელს მოიკლებენ, ისინი ჭამენ იძულენ, რომ შიმშილსა არ მოუსწრაფოს სიცოცხლე, რასაც ამტკიცებს მათი ჩატეტკილი, უძლური და გამხდარი სახე. რაც აქამდის ეთქვით, დოქტორი მულეროის აზრით, ეს შეეხება გამოცდილ, ხელობის მცოდნე მუშა ქალებს და რაღა გასაკვირველია ამას შემდეგ, რომ აუტანელ მდგომარეობაში არიან „მოსწავლე“ ქალები. ეს „მოსწავლე“ ქალები სამ ან ოთხი წვება ერთ ლოგინში; ლოგინი გაშლილია ან სახელოსნოში, ან საჭმარეულოში და შედგება ერთმანეთზე მიდგმული სკამებისაგან. ამას გარდა მათი „სწავლება“, რაც შეიძლება მეტ ხანს გძელდება, რომ მეტ ხანს ისარგებლონ მუქთი შრომით. მუშაობენ ხშირათ უქმ დღეებშიაც კი 12 საათს. წვრილ სახელოსნოებში კვირა დღე სამუშაო დღეთ ითვლება. თუ ზოგჯერ კვირა დღეს აუქმებენ „ხაზეინები“, თვით მუშა ქალი იძულებულია ამ დღესაც ისაქმოს; მას ჩვეულებრივათ მხოლოთ ერთი ხელი ტანისამოსი აქვს, რომელშიაც მუშაობდა მთელი კვირის განმავლობაში. შაბათ საღამოდან კვირა შუადღემდის ის უნდება ამ ტანსაცმელის გარეცხას, გაშრობას, დაუთოვებას, გახამებას და მხოლოთ ნასადილევს ძლივს ეღირსება „თავისუფლებას“.

ლამაზები ამ თავისუფალ დროს ატარებენ ცეკვა-თამაშში და რესტორანებში, ხოლო ისინი, რომელთაც ბუნება მემოწყალრომია და გადედინაცვლებია—სეირნობაში. განა შესაძლებელია რაიმე გონებრივი ავლა-დიდება ცხოვრების ასეთ პირობებში? —კითხულობს შულერი. ამიტომაც მათში არავითარი მისწრაფება არ არის თვით-ცნობიერებისა და თვითგანვითარებისაკენ. კომისიის წევრთა გამოკვლევით მათ არავითარი სულიერი ინტერესი არ მოეპოვებათ, ხოლო საზოგადოებრივი კითხვების ინტერესის კვალიც არსად ჩანს მათში, გარდა რამდენიმე სოციალ-დემოკრატ ქალთა.

ამასთან შულერი ადარებს წვრილსა და სხვილ წარმოებას და ამბობს: „ზნეობრივი მხარე მუშა-ქალებში უკვე „მოსწავლეობის“ დროდან იწყებს ხრწნას; ჩვენ გვიამბეს ისეთი შემთხვევები, რომ „ხაზეინი“, ჯერ კიდევ ჩაუცმელი ერეკება საწოლიდან დილით ჩაუცმელსავე ახალგაზდა ქალებს; ქალთა საწოლი ოთახის კარები ღამით არ იკეტება. არც დიდები არიან უკეთეა აიოობებში ზნეობრივი მხრით. ერთი წიგნების მკაზმავი ქალის სიტყვით: „ხაზეინი“ ღებულობს მხოლოთ „ლამაზებს“. ძას ქირაც კი მოუმატეს იმ იმედით, რომ ავსრულებია ხაზეინის სურვილი; ხოლო იმათ, ვინც ასეთ მის სურვილს ეწინააღმდეგებოდენ, ის ერეკებოდა სახელოსნოდან. ასეთი მეძთხვევები იშვიათია ძხოლოთ ძსხვილ წარმოებაში—იქ სადაც წესიერი ორგანიზაცია წარმოებს, რადგან ისინი უფთხიან გაძოა მკარავებას დ ამიტომ უფრო ზრდ ლობიანათ იქცევიან. „უეუშაოთ დარჩენილ ქალთა ძდგომარეობა ბევოათ უარესია პროსტიტუტკების ძდგომარეობაზე: სილარიბისა და შიმშილისაგან ტანჯულნი, რომ გაითავისუფლონ თავი ასეთი ტანჯვისაგან, იძულებულნი არიან სამ და ხუთ კაპ. „ნეიდებოდეს“,

„ასეთ წრეებში უკვე მომხდარა ქალთა ემანსიპაცია და ისინი თავისუფალნი არიან ქმრის „mancipium“-დან, მაგრამ ნაცვლათ უფრო მკაცრსა და სასტიკ მფლობელობაში ჩაცვინულან—შიმშილისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სილატაკის ბრჭყალებში. მათი ქალური თვისება თანდა-თან იკარგება, ქალწულობა ველარ შეურჩენიათ, დედობა ვერ გაუწევიათ—გაჭირება ხდის მათ გვირგვინს". —აი რა სურათებით გვიხატავს დოქტორი შულერი ვენის მუშა ქალთა მდგომარეობას.

არა უკეთეს მდგომარეობაში არიან მუშა ქალები ბერლინში, ლონდონში, ამერიკაში და სხვაგან.

ᲕᲝᲔᲢᲡ.

ნუ მდერ მისთვის, შენი ხმები
შენ გიტკბობდეს ხდომა, სმენას;
შენ გულს მწუხარს ანიჭებდეს
შვებასა და აღტაცებას!
ნუ მდერ მისთვის, შენი ჩანგი,
შენ მწარე ხვედრს ამყოლვნებდეს
და მოძმეს-კი, ვისიც შენ ხარ,
წყლულზე წამალს ვერ ადებდეს...
ბოეტი ხარ!.. შენ ეს ძალა
ზეციდან გაქვს ჩაბერილი;
ის წმიდაა—წმიდათ უნდა
მსახურებდეს ვით სანთელი.
ყველა სიტყვა შენგან თქმული
არ მარეს ედებოდეს;
მაღლა სტოდეს ცის სიკრცეში
ძირს ქვეყანას ზედ დაჭყეფდეს;
ძლიერებით ჯადო უნდა
იყოს გულის მომხიბლველი,
დაჩაგრულთა მალამო და
მჩაგვრელებთა შესამ ნაღველი!..

ა—რე საბულიანი.

ᲑᲔᲚᲒᲘᲘᲓᲐᲜ

მიმდინარე პოლიტიკა.—ადგილობრივი თვით-მართველობა.—მუშათა პარტია საბჭოებში.—„კომუნალური" არჩევნები.

ᲛᲣᲓᲐᲛ მღელვარე, მუდამ მოუსვენარი და დაუდგრომელი ბელგია აგერ რამდენიმე თვეა, ერთობ დაჟინებით დასტრიალებს საარჩევნო რეფორმას. ეს გამხდარა დღიურ საჭირ-ბოროტო კითხვათ, ამის გარშემო ტრიალებს პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა. მკითხველს ეცოდინება, რომ ივნისის მანიფესტაციებმა, გარდა იმისა, რომ ქვეყანას ააცილეს ერთი რეაქციონური კანონი, კიდევ სხვა შედეგიც მოიტანეს. ხალხის მედგარი ძახილი „ძირს სამინისტრო", „ძირს მთავრობა!" არ დარჩა ამაო ხმათ. ხალხის შეგნებული კატეგორიული (გადაჭრილი) მოთხოვნილება განხორციელდა. უკლერიკალესი და ურეაქციონერესი სამინისტრო დაეცა. ვანდენპეერებოომი (მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე) იმედი და სასოება კლერიკალების, კოლლეგებითურთ (ამხან.) ჩამოვარდა თავის საბძანებლიდან. შედგა ახალი სამინისტრო, რომლის თავმჯდომარეა სმეტდენეიერი. ეს წინათ ლიბერალი ყოფილა, ახლა კი, რასაკვირველია, მთავრობის პარტიას ეკუთვნის. განსხვავდება წინა მოადგილისაგან თავის თანამედროვეობით, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, რომ ამის მოადგილე ვანდენპეერებოომი ბრმათ მომქმედი, ჯიუტი და ფანატიკოსი იყო. არ ერიდებოდა არავითარ რეაქციონურ ზომას თავისი პარტიის გასამაგრებლათ. თუ სადამდის მიდიოდა იმის ფანატიკური ერთგულება სამსახურის წინაშე, კარგათ ჩანს თუნდა ასეთი მაგალითიდან: იმ ქვეყანაში, სადაც სიყვარული პოლიტიკური თავისუფლებისადმი საზოგადოთ და ბეჭდვითი სიტყვის კერძოთ ისე აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ სხვანაირი წყობილება ბარბაროსობათ და ველურებათ მიაჩნიათ, აი ასეთ ქვეყანაში ex—მინისტრი უკრძალავდა სადგურებზე იმ გაზეთების გაყიდვას, რომელიც მას არ ეპრიანებოდა. სმეტდენეიერი უფრო გამჭრიახი დიპლომატია. იცის დროსა და ადგილის მიხედვით მოქმედება. ახალი სამინისტროს მისია (მიზანი) საარჩევნო კითხვის გადაწყვეტაა. ეს კი საკმაოთ რთული, საკმაოთ ძნელი და სახიფათო საქმეა. ცხადია მხოლოთ ერთი, არსებული საარჩევნო სისტემა „vote plural"-ი (მრავალ ხმოვანი სისტემა) უნდა შეიცვალოს როგორმე. იგი აღარ აკმაყოფილებს არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. მუშათა პარტიის უკმაყოფილება თავის თავათ ცხადია. რაც შეეხება დანარჩენთ, ყველა მათგანს თავ-თავისი საბუთი აქვს. დემოკრატიული პარტიები—პროგრესისტები და დანსისტები (ქრისტიანი დემოკრატები) უკმაყოფილონი არიან, რადგან კონსერვატიული პარტიებისაკენ ყოველთვის იჩაგრებიან: vote plural ის მიხედვით პრივილეგიის მექონე (ორ და სამ ხმიან) ამრჩეველთა შორის—როგორც აჩვენებს სტატისტიკა—სხვილი საკუთრების წარმომადგენელია 47%, საშუალო ქონების და ოჯახის 42%, ხოლო დიპლომიანები, რომლებიც უმთავრესათ ეკუთვნიან წერილ ბურჟუაზიას—დემოკრატიულ პარტიებს—მხოლოთ 11%.



ნერვიოზ, შენი ბატონი მოგიკითხე.

ლიბერალური პარტია, ჯერ კიდევ ლონიერი — დღევანდელ პარლამენტიდან სრულიად განდევნილია, მაშასადამე არ შეუძლია კმაყოფილი იყოს. მარა რისთვის ითვალწუნა საარჩევნო statu quo (დღევანდ. სისტემა) თვით მთავრობამ, კლერიკალურმა პარტიამ? აი რისთვის. მართალია statu quo მას ბატონობას ანიჭებს, მარა ეს ბატონობა, როგორც შეენიშნა ერთმა კლერიკალმა დეპუტატმა, შუშის ფეხებზეა შემდგარი. თუ vote plural-ი ხელ უხლებელი დარჩა ძმაევალ 1900 წელს სკანინმ ებლა არჩევნებამდე, კლერიკალური პარტიის წინააღმდეგ ყველა დანარჩენი პარტიები ადგენენ ოპოზიციურ კავშირს (ანტიკლერიკალურ ლიგას) და ეს კი დიახ, რომ დიდი განსაცდელია კლერიკალებისთვის. თუ ამათ დღეს პარლამენტში დიდი უმრავლესობა ჰყავთ, ამის უმთავრესი მიზეზია ლიბერალებისავე საარჩევნო ტაქტიკა. საქმე აი რაშია: ამრჩევლები ხმას აძლევენ არა რომელსამე ცალკე კანდიდატს, არამედ რომელიმე პარტიის კანდიდატთა მთელ სიას. სიამ რომ გაიმარჯოს, საჭიროა მიიღოს განსაზღვრული ოლქის საარჩევნო ხმების ნახევარზე ერთით მეტი. მაგ. თუ ხმების საერთო ჯამი 12,000-ია, პარტიამ უნდა მიიღოს 6001, რომ თავის კანდიდატები გაიყვანოს. ასე რომ ხშირათ ერთი და ორი ხმის ნაკლებულება სრულიად ამარცხებს ამა თუ იმ პარტიის კანდიდატთა სიას [2]). და აი ასე ემართება ხშირათ ლიბერალურ პარტიას. ხოლო მეორე ბალატიროვკაზე (კენჭის ყრაზე) როცა არჩევანია ხოლმე კლერიკალურ და სოციალისტურ კანდიდატთა შორის, ლიბერალების დიდი უმრავლესობა უერთდება თავის თანამოძმეს კლერიკალებს, რისთვისაც უკანასკნელნი ყოველთვის გამარჯვებულნი გამოდიან. აქედან ცხადია შემდეგი: კლერიკალურმა პარტიამ რომ შეირჩინოს კიდევ რამდენსამე ხანს დღევანდელი ბატონობა, აუცილებელათ უნდა უზრუნველ ჰყოს ლიბერალების დახმარება. გარემოება დაიეწყა ex—მინისტრმა ევანდეპეერებოომმა, რომელმაც თავის კანონ-პროექტით სრულიად ააღელვა ლიბერალური პარტია და ერთიანათ გადაგდო ოპოზიციის ბანაკში. ს

მიემხრო. ლორანი და ხუთი მისი ამხანაგი დეპუტატი არ დაერიდენ იმ გარემოებას, რომ ხელი ჰქონდათ მოწერილი პარლამენტის მემარცხნეთა 4 ივლისის მანიფესტზე, რომელიც აცხადებს: მემარცხენენი არ მიემხრობიან არც ერთ საარჩევრო რეფორმას, უკეთუ მთავრობა რეფორმის შემოღებამდე არ შეეკითხება თითონ ხალხს პირდაპირ რეფერენდუმის საშუალებით ანუ არა პირდაპირ ახალი პარლამენტის არჩევით, რისთვისაც საჭირო იქნება კაროლმა ახლავე დაითხოვოს პარლამენტი და მოხდეს ახალი არჩევნები ან და საარჩევნო კითხვა გადიდოს მახლობელ 1900 წ. არჩევნებამდის.

პირობის დარღვევა დასახელებულ პროგრესისტებს იაფათ არ დაუჯდათ. მუშათა პარტიის და პროგრესისტების მეორე ფრაქციის მრავალ მიტინგებზე ხალხმა ისინი დაჭმო და სამარცხვინო ბოძზე მიკრა, როგორც დემოკრატიულ საქმის მოღალატენი. ლორანი ზედ-მეტათ იძულებული გახდა თავი დაენებებია საკუთარი პარტიის ორგანოსათვის („La Reforme*), რომელსაც ხუთმეტი წლის განმავლობაში რედაქტორობდა.

(შემდეგი იქნება)

კოპერნიკიდან დარვინამდე.

(გადმოგეთებული პროფესორი ფეტერის სტატიიდან)

პ. სურგულაძისაგან. *)

ზემო დასახელებულ კანონს, როგორც მის თანამშრომელოვან და თანასწორს, გვერდით უყენებენ ხშირათ მეორე კანონს ნივთიერების პოუსპობლობისას, მარა ეს კანონი მხოლოთ სხვანაირათ გამოხატვაა პირველი კანონისა. მატერიას, ნივთიერებას, სუბსტანციას ჩვენ ვეძახით სხეულებს, ნივთებს. მარა სხეულები მოქმედობენ ერთმანეთზე და მაშ ჩვენზედაც ძხოლოთ თავისი ძალებით. მოაშორეთ ნივთიერებას ყოველი მისი ძალა, თვისება, მაშინ აღარაფერი არ დარჩება. ასეთ ყოველ თვისებას, ძალას მოკლებულ სხეულს ჩვენზე არავითარი გავლენა არ შეეძლო, ასეთი უძალო ნივთიერება რაც კი შეიძლება, რომ არსებობდეს, ამ ნაირათ ყოველი სხეული არის ამა თუ იმ ძალების კრებული, ჯამი. როცა ვამბობთ ამა და ამ სხეულის შემადგენელი ნივთიერება მოუსპობელია, ამით ჩვენ ვამბობთ, რომ ამ ნივთიერებაში მოქცეული ძალები მარადის იქნებიან. აიღეთ მეორე ჩვეულებრივი კანონი, რომელსაც ჩვენ ვეძახით საერთო მიზეზიანობის კანონს. ეს კანონი მოკლეთ ასე გამოითქმის: არის დროს და არსად ქვეყნიერებაზე არ მოხდება არავითარი ცვლილება ისე, რომ იმას არ ჰქონდეს თანაბარი, ეკვივალენტური მიზეზი. ეს ცოტა უფრო ადვილათ გამოხატვაა წინანდელი აზრისა: ყოველი მოქმედი ძალა, რა ფორმითაც უნდა იყოს, არის გამომჟღავნება დაკრძალულ ძალას. მნიშვნელობა კი ამ ორივე აზრს ერთი და იგივე აქვს.

ამ დიდ მნიშვნელოვან კანონებზე დამყარდა მთელი მექანიური ახსნა ქვეყნიერების მოვლენათა. მარა ეს კანონები აღმოჩენილი იყო ფიზიკასა, ქიმიასა და ასტრონომიაში და სწორეთ მეცნიერების ამ დარგებმა პირველათ ისარგებლეს დასახელებული კანონებით. საჭირო იყო მეცნიერების სხვა დარგებიც გაჰყოლოდენ ამ მექანიურ ახსნას, რაც მართლაც თანდათან მოხდა. 1830 წელს ინგლისელმა მეცნიერმა ლაიელმა თავისი თეორით სრულიად დაანგრია ძველებური გეოლოგია და მასზე ააშენა ახალი კანონების მიხედვით ახალი თეორია. გეოლოგია ის მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს, თუ რა ცვლილებანი გამოუვლია დედამიწას თავის სიცოცხლეში. თხრა რომ დაუწყოთ დედამიწას თავის, ან და სადმე ნაპრალ კლდეს დაუკვირდეთ, შენიშნავთ, რომ ეს კლდე ერთიანი რამე კი არაა, ის შედგება ბევრი ფენებისაგან, რომელნიც ისე არიან ერთი მეორეზე ჩამწკრივებული, თითქო განგებ ვიღაცამ დააწყოვო. რატომაა ასეთი ფენაფენა? ლაიელამდის მეფობდა კატასტროფების თეორია, შექმნილი ფრანგი კიუვიესაგან. კიუვიეს წარმოდგენით, ყოველი ფენა უდრის დედამიწის ცხოვრების ერთ ხანას. დროთი—დრო დედამიწა განიცდიდა რაიმე განსაცდელს, ასე ეთქვათ, მოვიდოდა წარღვნა, რომელიც ერთიანათ მოსპობდა წინანდელ სიცოცხლეს დედამიწაზე. მერე ხელ-ახლა აყვავდებოდა სიცოცხლე; გაჩნდებოდენ მცენარეები და ცხოველები, მარა წინანდელზე უფრო უნაკლულო. აქ, როგორც ვხედავთ, არავითარი თანდათანობა არ არის, არავითარი მიზეზური დამოკიდებულება არ არის მოვლენათა შორის. უეცრათ რაღაცა ძალა აანგრევდაანგრევს დედამიწის პირს, მოსპობს სიცოცხლეს, შემდეგ ეს სიცოცხლე ხელ ახლა ჩნდება კიდევ უფრო გაუმჯობესებული ფორმით. ეს სწორეთ ანარხიული თეორიაა, რომელიც ამტკიცებს იმ დროინდელი გეოლოგიური ცოდნის სისუსტეს. ლაიელმა დაამტკიცა, რომ ასეთი მოსაზრება სრულიად ვერ ხსნის დედამიწის ისტორიას. იმან ასეთი კითხვა დასდვა. მოქმედობენ თუ არა დღეს ის ძალები, რომელნიც უწინდელ დროში მოქმედობდენ? დიახ, მოქმედობენ, მუდმივ, შეუწყვეტელათ. ესაა ცეცხლის ამოფრქვევა დედამიწის გულიდან, მიწის ძვრა, აწევა ან ჩაწევა მთელი მატერიკებისა, დედამიწის ზედაპირის ნგრე-

ვა-ლეკვა და ამ წანალეკის ზღვის ფკერზე დაკრეფა და სხვა. ყველა ეს მოვლენები არსებობდენ და არ. სებობენ მუდმივ ათას-ათასი წლობით. მათი განუწყვეტლივი მოქმედება თანდათან ცვლილდა და სცელის დედამიწის აგებულობას. ეს ცვლილება ჩვენთვის თითქმის შეუმჩნეველია, მარა რაკი შეუწყვეტელათ მოქმედობენ ზემო დასახელებული ძალები ძილიონ წლების განმავლობაში, ეს ცოტ-ცოტათი ცვლილება დიდ რამეს წარმოადგენს. აქ ერთი მოვლენაა კიდევ გასარკვევი, ხშირათ რომელიმე ადგილი რომ აიღო, დაათვალიერო ამ ადგილას არსებული ფენები, შენიშნავ, რომ ამ ფენებს შუა თანდათანობა არაა დაცული, თითქო ერთი ფენის გაჩენიდან მეორეს დაწყებამდის დიდი ხანი გასულა. ეს ადვილი ასახსნელია. უმთავრესი ბენჭი, მოძქმედი ძალა ფენების შექმნაში არის წყალი. წყალი ერთ ადგილს თანდათან არღვევს და გადააქვს მეორე ადგილს, უმეტესათ ზღვის ფსკერზე; მაშ ფენები უმეტესათ ზღვის ფსკერზე იზრდებიან. ზღვის განაწილება კი მუდმივი როდია. დღეს რომ ერთ ადგილსაა ზღვა და მეორე ადგილს ხმელეთი, ხვალ ეს ხმელეთი ჩაიზნიქება, მაზე ზღვა გადმოვა და უწინდელი ზღვის ფსკერი კი მაღლა თავს ამოყოფს. მაშინ როლი შეიცვლება, წინანდელ ხმელეთზე თითქმის მეჩერებული იყო ფენების ზრდა, ზღვა კი ხელახლა განაგრძობს მას. ამნაირათ ერთ ადგილს თუ შეჩერდა ფენების კეთება, მეორე ადგილს გრძელდება ეს მუშაობა და ამით თანდათანობა შეუწყვეტელია. დედამიწის წარსულის შესწავლაში იმავე მოვლენამ იჩინა თავი, რომელიც შეგვხვდება, როცა საზოგადოთ ჩვეულებრივ ისტორიას ვსწავლობთ. როცა მოწაფე სწავლას იწყებს, პირველათ იცნობს მხოლოთ აგრეთ წოდებულ უმთავრეს მოვლენებს. მაშინ ისტორია, ადამიანის წარსული წარმოუდგება ისე, თითქო ჩაწკაპულია მთელი ჯაჭვი ომებისა და ამბოხებისა, მხოლოთ აქა-იქ ეს ჯაჭვი გაწყვეტილია, ომიანობა აღარაა. შემდეგ კი რამდენათაც მოწაფე ახლო ეცნობა ამ საგანს, უფრო დაწვრილებით სწავლობს ისტორიას, თანდათან იგებს, რომ კაცობრიობის განვითარებაში, ამ თითქო უეცრივ ცვლილებათ, კატასტროფეს, ომებს, სრულიად შეუმჩნეველი ადგილი უჭირავთ. ნამდვილი შინაარსი დიდი ისტორიული გადვითარებისა, ზრდისა, დამარხულია ხალხთა კულტურულ განვითარებაში. ხალხის მატერიალური ვითარება, მისი საწარმოო ძალა და შეძლება იცვლება ნელ-ნელა, შეუმჩნეველათ და ამ თანდათან მატერიალურ ცვლას თან მოსდევს შესაფერი გადასხვაფერება ზნეობა-ჩვეულებათა.

(შემდეგი იქნება)

სოფლის ცხოვრება.

(სოფ. ნიგოითის გონებრივი მდგომარეობა.)

ნიგოითლები თვისება-ზნე ჩვეულებით განირჩევიან სხვა მის ახლო-მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთაგან. ესენი არიან შედარებით მშვიდობის მოყვარე და უფროსთა მორჩილ—გამგონენი. საზოგადოთ გურულებზე ის აზრია შედგენილი რომ გურულები ვერავისგან დამცირება—შეურაცხყოფას ვერ აიტანენო. ეს მართალიც უნდა იყოს, მარა ნიგოითლები-კი ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ, ესენი უფრო მეტს ითმენენ უმფროსისა და გაელენიან პირთაგან. ამის გამო ნიგოითლებზე შემდეგი ანდაზაც კი შეუდგენიათ: ნიგოითელი წყალში რომ ჩავარდეს, პირში წყალი არ ჩავუათო, ესე იგი რაც უნდა გასაჭირი დაადგეს ვინმესგან არაფერს იტყვისო. ჩვენ ვერ ვიკისრებთ იმის ახსნას თუ რისგან წარმოდგება ეს თვისება. შეიძლება იფიქროს კაცმა ამის მიზეზი წინანდელი მებატონეთა ყმისადმი სასტიკი მოპყრობა არისო, მარა სიმართლე უნდა ვთქვათ აქაური მებატონენი, რამდენათაც ვიცი, გურიის სხვა მებატონეებზე თუ უკეთესნი არა, უარესნი მაინც არ იყვენ. რაც შეხება ახლანდელს თავადთა და გლეხთა დამოკიდებულებას—ეს არ წარმოადგენს სასიამოვნო სურათს, მარა ამგვარი მდგომარეობა რასაკვირველია წარმავალია. დიდი გავლენა აქვთ თავადთ საზოგადო აზრთა მიმდინარეობაზე, მაგრამ სამწუხაროთ.. გავლენა აქვთ, და ერევიან თვით გლეხთა საკუთარ—საზოგადო საქმეებში, მაგ. სკოლის საქმის ასე თუ ისე წაყვანაში, მამასახლისის არჩევაში და სხვა. ზოგნი ამას ხსნიან ეკონომიურ დამოკიდებულებით, მარა ჩვენ ამათ მთლათ ვერ დავეთანხმებით; ჩვენი აზრით აქ არა ნაკლებ როლს თამაშობს ტრადიცია: ნიგოითელებს ერთი ღირსებათაგანია სწავლა-განათლების შეძენის სურვილი; ამას ამტკიცებს ახლანდელი გონებრივი მდგომარეობა ნიგოითელებისა, ჩვენა გვგონია რომ ამ თვისებითაც განირჩევიან ნიგოითლები სხვა სოფლების მცხოვრებთაგან. უნდა შევნიშნოთ, რომ რა მდგომარეობაშიაც ნიგოითი არის გონებრივის მხრით, შეიძლება ამავე მდგომარეობაში იყოს ზოგი სხვა სოფლებიც. ხოლო ჩამორჩენილ სოფლებთათვის ნიგოითი წარმოადგენს, ჩვენი აზრით, სურათს მათი ახლო მომავლისას და ამიტომ ჩვენ ნებას ვაძლევთ თავს ნიგოითის გონებრივი მდგომარეობის შესახებ ვრცლათ მოველაპარაკოთ მკითხველს.

ამ პატარა საზოგადოებამ (230 კომ.) თითქმის ყველა სოფლებზე ადრე დაიარსა სკოლა. შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ხალხიც გამრავლდა და სწავლის სურვილმაც უფრო იმატა, ერთი სკოლა არ იკმარა და 1894 წელს სხვა და სხვა მიზეზთა გამო საზოგადოება გაიყო ორ მეტ-ნაკლებ ნაწილათ. უმეტესმა ნაწილმა აიშენა ორ-კლასიანი და უმცირესმა ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლები. ამას გარდა ამ სკოლებზე მოშორებულ ერთ სოფელში გასულ წელს დაარსდა სამრევლო სკოლა. ასე რომ სკოლას გარეთ აღარ რჩება არც ერთი ბავშვი. მხოლოთ ეს კია რომ უმეტესათ კმაყოფილდებიან სოფლის პირველ-დაწყებითი სწავლით და საშუალო სასწავლებლებში იშვიათათ გზავნიან შვილებს.

მარა ბევრმა ამათგანმა ხელი მიჰყო თვით განვითარებას. ესენი ისე განვითარდენ, რომ ამ უკანასკნელ წლებში სოფლის მასწავლებელთა და სხვა საშუალო სასწავლებელში სწავლა მიღებულთა დახმარებით მოინდომეს სწავლა-განათლების თვით ხალხში, ცხოვრებაში შეტანა. ამ აზრით დაარსეს სამკითხველო და მცხოვრებთ უქადაგებდენ წიგნების კითხვის საჭიროებას, შეეცადენ მოესპოთ ხალხში მაენებელ-მაზარალებელი ზნე-ჩვეულებანი, მოინდომეს საკვირაო სკოლის დაარსება და სხ. ამათ მოღვაწეობას გამოუჩნდენ მოწინააღმდეგენი და გაიმართა ბრძოლა სინათლისა და „სიბნელის მომხრეთა“ შორის. კერძოთ ამ ბრძოლის ამბავი და საზოგადოთ გონებრივი მოძრაობის ისტორია ამ 15—20 წლისა ნიგოითში იმდენათ საყურადღებოთ მიგვაჩნია რომ საჭიროთ ვხედავ თავიდან დავიწყოთ ლაპარაკი ამ საგანზე.

წიგნებისა და გაზეთების კითხვის დაწყება ჩვენში რასაკვირველია ახალი მოვლენაა. ისე კანტიკუნტათ თუ გაიგონებდით წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთებს სახელს. ჩვენს სოფელში მოიპოვებიან ისეთი პირები (წერა-კითხვის ძლივს მცოდნენი), რომლებიც ჟურნალ-„ცისკრის“ შესახებაც-კი გეტყვიან რასმეს, ხოლო გაზ. „დროების“ სახელს უფრო ხშირათ გაიგონებთ. იმათ თუ გაიგეს გაზეთში რამე საყურადღებო სწერიაო ასე შეგეკითხებიან: დროებაში ეს და ეს ამბავი წერებულა და კარგათ გამაგებიე მართალი თუ არისო და სხ. წიგნებთაგან კითხულობდენ წინეთ „ვეფხის ტყაოსანს“, დავითიანს ყარამანიანს და სხ. თუ „ვეფხის ტყაოსნიდან“ ან დავითიანიდან რამე სასარგებლო აზრს ითვისებდენ, სამაგიეროთ ყარამანიანის და სხვა მის მსგავს წიგნებიდგან საზარალო აზრებსაც ჰკრეფდენ. ასე რომ 15—20 წლის წინეთ ჩვენი გაზეთებისა და წიგნების კითხვა დიდ არაფერს მატებდა მკითხველის გონებრივ ავლადიდებას. იმ დროს ჩვენს სოფლებში არც სკოლები იყო და არც არავითარი მსჯელობა-ლაპარაკი ხალხში სწავლა-განათლებაზე, ამიტომ ეს თითოოროლა მკითხველიც შეუმჩნეველი იყო. ამათი ამბავი მაინც—და მაინც არც აღსანიშვნელია. მარა ეს ჩვენ აღვნიშნეთ როგორც ჩანასახი წიგნების კითხვის სურვილისა. შემდეგ სოფლებში დაარსდა სკოლები, დაიბადა ხალხში სწავლის სურვილი და ამასთან გამრავლდა ნასწავლთა რიცხვიც; მაშინ თვალსაჩინო გახდა წიგნებისა და გაზეთების კითხვა, რომლებიც ამ დროს ბევრი გამოდიოდა. ამ ათის წლის წინეთ ნიგოითის მასწავლებელმა და ერთმა აქაურმა ინტელიგენტმა გამართეს ნიგოითის სკოლაში სახალხო კითხვები. უკითხავდენ ხალხს ბელეტრისტულ-დრამატიულ ნაწარმოებს და უფრო სამეურნეო—საველმძღვანელო წიგნებს, ამ უკანასკნელს იმ მოსაზრებით, რომ ეს სოფლელ მეურნეს უფრო მოიზიდავს და კიდეც გამოადგებაო. პირველათ ხალხი უთუოთ ცნობის მოყვარეობით ბევრი დაესწრო, მარა ეს საქმე მათ სასარგებლოთ არ უცვნიათ და როცა დაიშლებოდენ ასე მსჯელობდენ და ოხუნჯობდენ: იმ წიგნში რომ ეწერა იმისთანა ჩხუბი და დავიდარაბა მეც კი მინახავს და გამიგონია და ამაზე რაღა წიგნი მინდაო; კართოფილის კეთება“ მეც კი ვიცი შარშან ნასახლევზე იმდენი „მექნა“ რომ ფეხი ვერ აუდგით და ამის სწავლება რალათ მინდაო“ და სხ. ამას გარდა სხვა ეჭვიც შეიტანეს ამ საქმეში: „თუ იგინი რაცხა სარგებლობას ჩვენგან არ ელოდენ ტყუილათ რეიზა მოიცლიან ჩვენდაო“. აქ ჩვენ მოკლეთ უნდა შევნიშნოთ, რომ საზოგადოთ ხალხს არ სჯერა რომ ვინმემ, მეტადრე „სტავლულმა“ მუქთათ, უფულოთ რამე გაუკეთოს. ეს კითხვები მალე შესწყვიტეს მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მართალია ხალხმა ეს კითხვები უსარგებლოთ იცნო და სასაცილოთაც აიგდო, მაგრამ ის კი დაინახეს რომ წიგნების კითხვა საჭიროა ყოფილა, და ეს. რაღაც საქმეთ მიაჩნდათ სწავლულ კაცებს. ასე უყურებდენ საზოგადოთ მცხოვრებლები წიგნების კითხვის, თვით-განვითარების საქმეს, მარა ამავე დროს რამდენიმე ახალგაზდა გულმოდგინეთ კითხულობდა წიგნებს და ვითარდებოდა. ამათი რიცხვი პირველათ ძლიერ ცოტა იყო. ზოგამათგანს შემთხვევა ეძლეოდა დრო-გამოშვებით ქალაქში ცხოვრებისა, სადაც გონებრივი მოძრაობა მეტი არის და მათი სურვილი განვითარებისა უფრო კმაყოფილდებოდა. ზოგი მათგანი თავის-თავათ დაადგა განვითარების გზას, ხოლო ზოგს-კი ხელს უწყობდენ საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი—ინტელიგენტნი და აქაური სკოლის მასწავლებელნიც. პირველათ ამათ ხალხი თითქმის ვერც კი ამჩნევდა, ხოლო 1890 - 91 წლებში გაიცნეს ეს ახალი პირები და ამ დროდან იწყება მათი აუტა-

ნელი მდგომარეობა და ბრძოლა გარეშეებთან, შინაურებთან და თვით თავის თავთან. შეიძლება ვინმემ გაიკვირვოს, თავის თავთან რა ჰქონდათ საბრძოლველიო, მარა ეს საკვირველი არ არის. წარმოიდგინეთ სოფლელი გლეხის შვილი, რომელსაც დაუსრულებია მხოლოთ სოფლის სკოლა, ამ სკოლაში მიღებულ სწავლას აღუძრავს მასში ძლიერი სურვილი სწავლა-ცოდნის შეძენისა, მარა არავითარი საშუალება ამ ცოდნის შესაძენათ მას არა აქვს გარდა ერთი გზისა; ეს ერთი გზა — თვით-განვითარებაა, ანუ, სხვანაირათ, წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვით სწავლის შეძენა. აქ ორი საკუთარი თითქმის დამოუკიდებელი სიძნელე ხვდება კაცს წინ. პირველი ის, რომ წიგნების ყიდვას და ჟურნალ-გაზეთების გამოწერას ფული უნდა; თუ ფული იშოვე და წიგნები გამოიწერე — ამათ წაკითხვას დრო უნდა, რაც ასე ძვირია მათთვის. მეორე სიძნელეს წარმოადგენს წაკითხული და გაგონილი აზრების შეთვისება. რამდენი სულიერი ტანჯვა უნდა აიტანოს პირველდაწყებითი სკოლაში ნასწავლმა კაცმა, რომ დატოვოს ის ძველი რწმენანი და ჩვეულებანი, რომელიც მისთვის წინაპართ გადმოუცია და თანამედროვე საზოგადოებას განუმტკიცებია მასში. მართალია სურვილი აქვს სწავლის შეძენის, რაიმე ახალი აზრის გაგებისა, მარა ეს იმას არ ნიშნავს რომ ის მთლათ უარს ჰყოფდეს ყველა იმ შეხედულებებს, რომელშიაც ტრიალებს და გადაეშვას თავის სანახევროთ უცნობ გონებრივ ცხოვრებაში. ამ საკუთარ დაბრკოლებას კიდევ როგორც იქნებოდა სძლევდა კაცი, მარა უფრო ძნელი ის დაბრკოლება იყო, რომელიც ამათ ხვდებოდათ მშობლებისაგან. წარმოიდგინეთ რა განსხვავება უნდა ყოფილიყო ამათ მისწრაფება — მოქმედების შორის. მშობლები ამბობდენ: შვილები გადაგვერია, კაცათ აღარ ვარგანანო და მტერსა და მოყვარეს იმას ეეედრებოდენ რომ გვიშველეთ რამე, ჩვენი შვილები წიგნის კითხვას დაათხოვეთო. წიგნის კითხვის შესახებ ამათ განუწყვეტელი დავა ჰქონდათ და ეს ვისთან? იმათთან, ვისთანაც მუდამ ცხოვრობდენ, ესე იგი ოჯახში: დედ-მამასთან, ძმებთან და სხვ. მაგრამ ზოგჯერ მარტო დავითაც არ გათავდებოდა საქმე, ხან-და ხან, დავა თუ თვით წიგნის კითხვის დროს ატყდებოდა, ისე გამწვავდებოდა რომ ამ წიგნს დაუხევდენ და გადაუგდებდენ და ან სანათს გაუქრობდენ, ან სხვა რასმე. აი ამ აუტანელ მდგომარეობაში იყვენ ისინი ოჯახში. ახლა გავიდეთ გარეთ, საზოგადოებაში.

იდეალი და ცხოვრება.

III.

ამ უკანასკნელ დროს ისე მოწყენილი ხართ, ისე შეიცვალეთ, ისე აღარ ჰგავხართ იმ სიცოცხლით და მხიარულებით სავსე ქალიშვილს, რომელიც ამ ორი თვის წინეთ გავიკანი, რომ ღმერთმანი სულ ველარ გცნობთ! - აღელვებით ეუბნებოდა ირას ბეჭან მანასიძე, რომელიც ის იყო ცხენით მოსულიყო და ბაღში რომ ქალი დაენახა, ცხენი ლობეზე მიება და პირ და პირ იქ გადასულიყო.

ირა დიდ ხეს ქვეშ იჯდა მიწაში ფეხებ ჩაფლულ პაწია ხის სკამეიკაზე; მის წინ, მიწაშიევ ჩამაგრებულ რგვალ სტოლზე, გაშლილი წიგნი იდა, მაგრამ ქალიშვილი არ კითხულობდა; ბეჭანმა შორიდანვე შენიშნა, რომ წიგნი უყურადღებოთ იყო მიტოვებული, ახალგაზდა ქალის ფიქრები კი სულ სხვაგან, სულ შორს იმყოფებოდენ.

ირა შეკრთა, ბეჭანის სიტყვები რომ გაიგონა, და თავი ზევით ასწია. მხოლოთ ახლა დაინახა მის წინ მათრახით ხელში მდგომი კაცი, დაინახა და ხელმეორეთ შეკრთა; ეს გამომეტყველება მის სახეზე ჯერ არაოდეს არ ენახა; ბეჭანის საზოგადოთ მკაცრ თვალებში ისეთი ლმობიერება და სიყვარული, ისეთი ქალური თანაგრძნობა იხატებოდა, მისი სახე ისეთი ფერმკრთალი იყო, რომ ქალმა, რომელიც დიდი ხანი იყო, ნიშნავდა, რაც ხდებოდა ახალგაზდა ექიმის გულში — უეცრათ იგრძნო, ახლა დადგა ყველაფრის გამოთქმის დროო.

— ირა! — უცებ აღელვებით დაიწყო ბეჭანმა და ხმა შეუწყდა. მოწყვეტით დაეშვა ის ქალის გვერდით ხის სკამეიკაზე. — ირა! არ შეიძლება არ შეგენიშნოსთ, რომ დიდი ხანია მიყვარხართ... რომ მას აქეთ, რაც პირველათ გნახეთ, თქვენ სრულიად დაატყვევეთ ჩემი გული... აგერ ოცდა თოთხმეტი წლის კაცი გავხდი — და, გეფიცებით, ეს პირველი შემთხვევაა ჩემ სიცოცხლეში, აქამდის ასეთი არაფერი არ გამომიცდია...

ირამ თითონაც იგრძნო, რა საშინლათ გაფითრდა და უნებლიეთ განზე გაიწია. აი, ახდა ის, რაზედაც, თითქმის ათი წელიწადი იყო, რაც ოცნებობდა... აი, ის, ბეჭან მანასიძე, ბეჭანი, ეიზედაც ფიქრი ამ ათი წლის განმავლობაში ერთხელაც არ მოშორებია, მის გვერდით იყო და ეუბნებოდა, მიყვარხარ, შენს მეტი არავინ არ მაგონდებაო... და ირა კი, ირა ბედნიერებას არ გრძნობდა! სად იყო ის თავდავიწყება, ის თავბრუს ხვევა, ის გულის ტკბილი შეღონება, რომელსაც ირა იგრძნობდა ხოლმე, როცა მხოლოთ წარმოდგენაში, მხოლოთ ოცნებაში გაიგონებდა მი-

სგან ამ სიტყვებს? ახლა კი... ახლა ეს სიტყვები ცხადად ეს[illegible]... და მის მაგიერათ, რომ ბედნიერებით აფრთოვანებულს აღტაცებით ხელი გაეშვირა ყმაწვილ კაცისთვის — თავის თავისთვისაც მოულოდნელათ მან თავი ძირს დახარა, სტოლზე დაყრდნობილ ხელებში ჩამალა სახე და მწარეთ ქვითინი დაიწყო.

— ირა! ირა! — შემკრთალი მხოლოთ ამას იმეორებდა ბექანი, რომელიც წამოდგა და გაშტერებით მიჩერებოდა მტირალ ქალს.

ირა უცებ წამოდგა, თვალები შეიწმინდა, წელში გაიმართა და პირ და პირ შეხედა ყმაწვილ კაცს.

— ისე აშლილი მაქვს ნერვები...—ბოდიშის მოთხოვით ძალდატანებული ღიმილით თქვა მან და შუბლზე და ოქროსფრათ მღელვარე წაბლის ფერ თმაზე ხელი გადისვა.—უკაცრავათ!—და სახლისკენ წასასვლელათ უცბათ გამობრუნდა.

— ირა!—თითქმის სასტიკათ შეაჩერა ბექანმა, თუმცა აღელვებისგან ხმა ახლაც უკანკალებდა.— ირა, მე პასუხს ველი!

ქალი ერთ წამს შედგა და წარბები შეიჭმუხვნა, ეტყობოდა, რალაცის გადაწყვეტას ვერ ახერხებდა.—პასუხს ამ საღამოს მოგწერთ!—ბოლოს გადაჭრით თქვა მან და სახეზე მტკიცე გადაწყვეტილება დაეტყო.

— მომწერთ? განა თქმა არ შეიძლება? — მთლათ გაყვითლდა ბექანი.—ეგეც ქალური გულმტკივნეულობა! — მწარეთ ჩაიცინა მან. — თქვენ გგონიათ, დაწერილი უარის წაკითხვა უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე პირადად თქვამის გაგონება?

— არა, არა, მაგიტომ არა! - მხურვალეთ მიუგო ირამ და ერთი ნაბიჯი წინ გადადგა, თითქო უნდოდა რამეთი დაემშვიდებინა ეს დიდი, ღონიერი, ამ წამს კი ასე ბავშვივით მის წინ მთრთოლარე კაცი... მაგრამ ისევ მალე შედგა, გამოტრიალდა, „მაშინ გაიგებთო", თითქმის ჩუმათ წაილაპარაკა და ჩქარი ნაბიჯით სახლისკენ წავიდა.

და მართლაც, იმავ საღამოს გაიგო ბექანმა, რატომაც უნდა „მოეწერა" პასუხი ირას, იმავ საღამოს, როცა ჩიჭმა ქალალდში გამოხვეული დიდი, მთლათ ირას წმინდა ნაწერით გაესილი ყდიანი რვეული მოუტანა. ბექანმა სწრაფათ გახსნა ეს რვეული და პირველ სტრიქონის წაკითხვაზევე მიხვდა, რომ ეს ირას დღიური იყო, მაგრამ დღიური ახლანდელი კი არა, არა, დღიური იმ დროის, როცა ის, თუთხმეტ-თექვსმეტი წლის ქალიშვილი, ჯერ თითქმის სრულიად ბავშვი, გიმნაზიის მეექვსე კლასში დაიარებოდა და თავის ოჯახიშვილ ეანოსთან შეუწყვეტელი მიწერ-მოწერა ჰქონდა. პირველ გვერდზევე ნახა ბექანმა თავისი სახელი და ჯერ გაკვირვებულმა, მერე აღტაცებულმა, მერე სასოწარკვეთილმა მთელი ორი საათი თავაუღებლათ ამ რვეულის კითხვას გადაატანა. რამდენი ბავშვური რწმენა და გატაცება, რამდენი გულუბრყვილობა, რამდენი სიწმინდე და აღტაცება, თითქმის თაყვანისცემა იკითხებოდა ამ ფურცლებზე! და ეს გატაცება, ეს აღტაცება, ეს თაყვანისცემა, მის, ბექან მანასიძის მიერ იყო გამოწვეული! ეს მშვენიერი, ეს გულუბრყვილო ქალიშვილი დღე და ღამ მის ხსოვნაში იყო, დღე და ღამ მის სურათს შეჩერებოდა. . მაგრამ არა, არა, ეს ტყუილი იყო! ქალს უყვარდა, ქალი ოცნებობდა ბექან მანასიძეზე კი არა, მას იტაცებდა მხოლოთ ის აზრები, რომლებითაც მაშინ თვით ბექანი იყო გატაცებული, ის ოცნებები, რომლებიც ბექანს აფრთოვანებდენ, ის მიმართულება, რომელსაც ბექანი მისდევდა... და უცებ, მოულოდნელათ, ბექანს თვალ წინ დაეხატა ოცდათხი წლის, სიცოცხლით, ცხოვრების რწმენით, ოცნებებით, კეთილი განზრახვებით და მაღალი იდეებით სავსე ყმაწვილი კაცი, რომელიც გულმოდგინეთ სწავლობდა და მოუთმენლათ მოელოდა იმ დროს, როდესაც ცხოვრებაში გამოვიდოდა, გამოვიდოდა მისთვის, რომ სიმართლის დამცველ და კეთილის მომხრე მებრძოლათ ყოფილიყო, რომ თავისი იდეები ცხოვრებაში გაეყვანა, თავისი ფართე განზრახვები გაეხორციელებინა... რამდენი რწმენა, რამდენი იმედი, რამდენი ოცნება ეტეოდა ყმაწვილი კაცის გულში! ახლა კი?

პირველათ დაინახა ბექანმა საშინელი სიცხადით ის უფსკრული, რომელიც სამუდამოთ ჰყოფდა მაშინდელ და ახლანდელ ბექანს, მაშინდელ ღარიბ სტუდენტს და ახლანდელ მდიდარ, სახელმოხვეჭილ ექიმს, რომელიც მხოლოთ თავის თავზე და თავის კეთილდღეობაზე ჰფიქრობდა, რომელსაც დავიწყებოდა ყოველივე ის, რაც მაშინ ასულდგმულებდა... და ეს უფსკრული დაანახა, ყველა ეს აგრძნობინა მას ყმაწვილი ქალის გულუბრყვილო აღსარებამ, ყმაწვილი ქალის, რომელიც ახლა გაგიჟებით უყვარდა...

„მე ვიცი, რომ ერთხელ, როდესაც იქნება, შევხვდები მას! ნამეტანი უსამართლობა იქნება, რომ ეს არაოდეს არ მოხდეს! და აი, რომ მაშინ იძულებული არ ვიქნე შერცხვენით თავი ძირს დავხარო, რომ შეეიძლო, უფლება მქონდეს პირდაპირ თვალებში შეეხედო და ეუთხრა:—არა! მეც სულ დაცემული, სულ გლახა არა ვარ, მეც ვცდილობდი, რაც შემეძლო მეტი სარგებლობა მომეტანა, მეც ყოველ ღონისძიებას ვხმარობდი, რომ ჩემ ცხოვრებას უნაყოფოთ არ ჩაველოსო! — მე ვეცდები მართლაც ყველაფერი გავაკეთო, რაც კი შემიძლია! ვეცდები რამე სარგებლობა მოვიტანო, ვეცდები ცოტათი მაინც მისი ღირსი გავხდე". ეს სიტყვები, რომლებითაც დღიური თავდებობა, უცებ ისე ცხადათ გაგონა ბექანმა, თითქო აქვე, მის გვერდში, ქალის ხმას გაემეორებინოს ისინი. „მისი ღირსი გავხდეო!" ჰო, და

აი, ახლა, ათ წელს შემდეგ, ირა შეხვდა ბეჭანს... ის იძულებული არ არის შერცხვენით თავი ძირს დახაროს, მას შეუძლია ბეჭანს პირდაპირ შეხედოს და უთხრას, სულ დაცემული არა ვარ, მე ვცდილობდი, რაც შემეძლო გამეკეთებინა, რა სარგებლობაც შემეძლო—მომეტანა, მაგრამ ბეჭანმა, თვითონ ბეჭანმა რა უნდა უპასუხოს ამაზე?—მწარე კენესა, თითქმის ქვითინი ამოსკდა ექიმის გულიდან და ორივე ხელებში სახე ჩამალული ის მეათეთ, მეოცეთ ამ მოკლე ხანში, ამ რამდენიმე საათში ითვალისწინებდა თავის ცხოვრებას, თვალწინ იდგენდა იმ გზას, რომელიც მაშინდელ სტუდენტობიდან ახლანდელ ექიმობამდის განვლო. რა სადა, რა უბრალო გზა იყო, გზა, რომელზედაც თითქმის ყოველი ახალგაზდა გაიარის ხოლმე! ისეთი ყველასათვის ჩვეულებრივი, ყველასათვის ნაცნობი გზა! ყმაწვილი კაცი, ჯერ ცხოვრებაში გამოუცდელი, ჯერ მარტო წიგნებზე და ფიქრებზე აღზრდილი—გამოდის ცხოვრებაში, ერევა მასში, იცნობს მას; ხედავს, რომ მისი ოცნებები—მარტო ოცნებები იყო, რომ ცხოვრება სულ სხვაა, რომ ის წარმოადგენს არსებობისათვის გამწვავებულ ბრძოლას, შეტაკებას ათასი და ათიათასი ადამიანისას, რომელთაგანაც ყოველი მარტო თავის თავზე, თავის სარგებლობაზე ჰფიქრობს... და თითონაც სხვების მაგალითს მისდევს, თითონაც ამ არსებობისათვის გამართულ ბრძოლაში ერევა... ჰო, ყველასათვის ჩვეულებრივი, ყველასათვის ნაცნობი, სადაა ეს გზა... მაგრამ ამ გზამ ჰქნა ის, რომ ახლა, როცა ბეჭანს მიღწეული აქვს ცხოვრების ფერხულში ჩაბმის დროს გამოსახული იდეალი, როცა ის იძულებული აღარ არის ლუკმა პურისთვის იშრომოს და ნება აქვს თავისუფლათ, უზრუნველათ იცოცხლოს—ის წყევლის ამ გზასაც, თავს თავსაც და იმ ცხოვრებასაც, რომელმაც ასე ნელ-ნელა, ასე შეუმჩნეველათ ჩაითრია და დაიმონა... საყვარელი ქალის ოქროსფერ ხსიებიანი თვალები დაკვირვებით, უსიტყვო კითხვით ეპყრობიან მას... და ბეჭანს არ შეუძლია თვალი გაუმართოს მათ, ახლა ის არის იძულებული შერცხვენით თავი ძირს დახაროს...

და მართლაც, სულ უფრო და უფრო ძირს ხრიდა ყმაწვილი, მდიდარი, სახელმოხვეჭილი ექიმი ორივე ხელებში ჩამალულ თავს და ცრემლები, მსხვილ-მსხვილი ცრემლები, მგონია პირველი ცრემლები მ ს სიცოცხლეში—ცვივოდენ მის წინ სტოლზე გაშლილ ყდიან რვეულზე, რვეულზე, რომელშიაც ასე მოულოდნელათ ამოიკითხა მან თავისი გასამართლება და... თავისი გამტყუნება!

—

იქ კი, იქ, დიდ, ნათელ ოთახში, წინა სურათ ჩამოხსნილ ძვირფას ჩარჩოში გამომყურალ ყმაწვილი კაცის მედიდური, ამაყი პროფილის წინ, ვეებულიერით ზის ახალგაზდა, ფერმკრთალი ქალი, რომელსაც სტოლზე დაყრდნობილ ორივე ხელებზე დაუნდვია თავისი სქელი თმით დამშვენებული თავი... ქალი არ ინძრევა, ხმას არ იღებს, მის თვალებში ერთი ცვარი ცრემლიც არ ბრწყინავს, მაგრამ მაინც, ვინც კი მის მკრთალ სახეს დაუკვირდება, ვინც დაკვირვებით ჩაიხედავს მის დიდ, ღრმა თვალებში—ადვილათ გაიგებს, ცხადათ დაინახავს, იგრძნობს, რა საშინელ ტანჯვას იტანს ამ წუთებში ეს ყმაწვილი ქალი... ის გაშტერებით მიჩერებია სურათს და ეთხოვება, სამუდამოთ ეთხოვება ყველაფერს, რაც კი აქამდის სწამდა, ყველაფერს, რაც უყვარდა, რაზედაც ოცნებობდა... თუ აქამდის ცხოვრებისაგან დაღალულობის და სასოწარკვეთილების წამებში მას შეეძლო იმედით და რწმენით გაემეორებინა: „არა, ღირს ცხოვრება, როცა ქვეყანაზე ასეთი კაცები არიანო!“ ახლა მან ეს სიტყვები უკულმა უნდა გადააბრუნოს და იმედის გადაწყვეტით თქვას: „ღირს კი ცხოვრება, როცა ამისთანა კაცებიც—ასეთები გამოდგებიან ხოლმეო?“

—

მთელი ის კუთხე გაკვირვებული იყო, როცა უეცრათ ხმა გავრცელდა, ექიმმა ბეჭან მანასიძემ თავისი ახლათ ნაყიდი სახლკარი მიატოვა და სადღაც გადასახლდა, წავიდაო.

13 სექტემბერი 1899 წ.

ალ. წერეთელი.

წერილი რედაქციის მიმართ.

I.

ბატონო რედაქტორო! აგერ, ეს მეორეთ იბეჭდება, თქვენ პატივცემულ „კვალის“ ფურცლზე დ. ზესტაფონიდან წერილი, სამკითხველოს შესახებ, ვიღაცა ლაშელისა (კვალი მე-35 №-ში) რომელიც სიცრუეზე არის დამყარებული.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ბ. ა. ლაშელმა არ იცის არც ჩვენი სამკითხველოს ანგარიში და არც კრებაზე მომხდარი ამბები; მხოლოთ სხვისი სიტყვით, სხვისი ჩამასმლით, ჭურჭვით, გაუზომლათ და აუწონლათ ამოიძახის: „სამასი მანეთი ვალი არის, გაიხდა ერთი „პარტია“ და 87 მანეთი კი აღმოჩნდაო“, როდესაც ამ ბეკარი არა თქმულა-რა კრებაზე. მართალია, წერდენ გაზეთებში (ტნ. ფ. № 901) „ვალი ოთხას მანეთამდე არისო“, და, ვიდევაც დამტკიცდა, რომ 170 მანეთი ეოფილა. ჩვენ ძალიან მადლობელი დავრჩებით რომ ბ. ლაშელი 87 მანეთის მეტ ვალს არ გვიჩვენებდეს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა აღვიარეთ რომ, ამას ბ. ლაშელი ვერ შესძლებს და ჩვენ კი, ვალათ ისევ 170 მან. დაგვრჩება გადასახდელათ.

სხვათა შორის, ბ. ლაშელი ბრძანებს: „საქმე „ჭენჭობია“ ეოფილა! ბ. ვ. ჩსაიძემ 11 სექტემბერს განა-

ცხადა: კამეგობის წეგრობა არ მსურს და გთხოვთ სხვა აირჩიოთო, რისთვისაც „ბარტაის“ (?) ეუფრი მოუგრავს და კარებზე გამოცხადდა რომ „დაბიჭინებული ბიჭიო“.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ კრება მოხდა 18 სექტემბერს, როგორც ბ. ლაშელი ბრძანებს, მხოლოდ ამ კრებაზე ბ. ჩხაიძეს, არავითარი ამ გვარი არა უთქვამს რა და არც საქმე „გენშობიაზე“ ყოფილა. სამეგობროში, ბ. ლაშელო, რომ, სამკითხველო კასაში მდგომარეობაში იყო კარების გამო, რომელიც ძველმა გამეგობამ მოახვია თავზე და გადახდა მისი კი ველარ შეიძლო. ამ გვარ საქმის გამოძიებენებას ნამდვილი ენერგიით სავსე „ეტიკეტი“ ეძიებენ, რომ. ბულისათვის საზოგადოებას მეტ ბარგათ ეჩვენა ამისთანა გამეგობის მზრუნველობა, და ერთ ხმათ დაითხოვეს იავის მოვალეობისაგან ბ. ვ. ჩხეიძე და ს. ბასტაძე და მათ მაგიერთ არჩეულ იქმნენ ვანო არდიშვილი და ილია მაღლაკელიძე.

თუ გინდ ვთქვათ ბ. ლაშელო, რომ ბ. ჩხაიძემ ურჩი განაცხადა, (თუმცა ამგვარი წინადადება კრებაზე არ შემოსულა არავისგან) მერმე რა გსურთ ამით? მაშ რა უნდა ექმნა ბ. ჩხაიძეს, თუ რომ „ურჩიც“ არ განეცხადებია, მას შემდეგ, როცა ამ წრემდე „მიიყვანეს სამკითხველოს საქმეები, „და ნამეტურ კი იმ სიტუაციების შემდეგ, რა „სიტუაციითაც მან კერძო წერილში ბ. ვანოსადმი (ის. ცნ. ფურ. მე901 № ში) მოიხსენია სამკითხველო და მთი გამეგობა.

„ღმერთმა თქვენც შეგარცხვინოთ. თქვენი გამეგობაც და თქვენი ბიბლიოთეკაც-ო!“

აგრეთვე არ შეიძლება არ შევნიშნოთ ისიც, რომ ბ. ლაშელმ, „ოფლით უმიზეზოთ გაჭეცა და „დაბიჭინებული ბიჭის“ სახელით მონათლა პატიოსანი პირნი, სხვათა შორის ან განსვენებული ეგორიელის ნოტარიუსი — ალექსანდრე წულუკიძე, ის წულუკიძე, რომლის უდრეოთ გარდაცვლებას დღესაც მთელი ზესტაფონის საზოგადოება დატირის, ღ მასწავლებელნი: ვანო სუვარელიძე, ლეონ კალენჯარიძე, თორნიკე გეგეშიძე და სხვ... ამას შემდეგ, ჩვენც მეტი რაღა დაგვრჩენია რომ ბ. ლაშელის სიტუაციები არ გავიმეორეთ.

„კარგი რამ გეჭირდეს გიკვირდეს, ავი რა საკვირველია“.

დასასრულ, კურნეკთ ბ. ა. ლაშელს, რომ ამგვარ წერილების წერას თავი დანებოს, რომ ან მაინც შეცდომაში არ შეიყვანოს არც რედაქცია და არც პატიოსანი მკითხველები.

მართლის მთქმელი.

II.

ქ-ნო რედაქტორო! „კვალის“ მე-39 ნომერში დასტამბულია წერილი კიდევ „გ—ა“-სი ბანძის შესახებ. ზოგიერთმა პირებმა, მიუნდობელთ წერილ ქვეშ ადნიშნულ ინიციალისა, ეგონა ჩემზე მოიტანეს, ამიტომ გთხოვთ, „კვალის“ რომელსაც მახლობელ ნომერში გამოაცხადოთ, რომ ამ წერილის ავტორი მე არა ვარ.

ბანძის მეორე-კლასიან სკოლის მასწავლებელი

კირილე არფელაძე *)

III.

ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტის ეგნატე ნინოშვილის ნაწერები სანთლით საძებარი შეიქნა და მათი შეძენა ყოველად შეუძლებელი გახდა, ჩვენ მივმართეთ, როგორც თეფილისის წიგნის მაღაზიებს, ისე სხვა ქალაქებშიც, მაგრამ წიგნები არსად არ აღმოჩნდა, გარდა „ბარტახის“. ახლა ჩვენ გვითხრეს ნინოშვილის თხზულებების გამოცემა მინდობილი აქვთ რამოდენიმე პირთ, რომელთაც უნდა შეადგინონ ავტორის უფრო კრეული ბიოგრაფიაცა. ძლიერ სასურველი იქნება, რომ ეს პირები არ დაუგვიანებდენ წიგნების გამოცემას და მით საშუალებას მისცემდენ მკითხველებს ნინოშვილის ყველა ნაწერების გაცნობისას. **)

იასე ჭანტურია.

„ᲙᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ქ. სოხუმი ბ. მ. თ—ას. რედაქცია ყოველთვის ცდილობს სიმართლის აღდგენას და სწორეთ იმისთვის მოგთხოვთ თქვენც საბუთები. თქვენგან გამოგზავნილი ბლანკი არავითარ საბუთს არ წარმოადგენს. თუ ორიგინალის გამოგზავნა გეძნელებათ, იმ შემთხვევაში პირი გამოგზავნეთ მისი, მამასახლისისგან შემოწმებული და თქვენ საწინააღმდეგო წერილს საამოვნებით დავბეჭდავთ; წინააღმდეგ შემთხვევაში, გვაპატიეთ თუ თქვენი წერილი არ დავბეჭდოთ.

*) ვიცხადებთ, რომ ზემოხსენებული წერილის ავტორი ბ-ნი კირილე არფელაძე არ არის — რედ.

**) რამდენათაც ჩვენ ვიცით ვრცელი ბიოგრაფიის შედგენა ძალიან დაგვიანდება; ჩვენ გვწერს, რომ სანამ ბიოგრაფია შედგებოდეს, მანამდის ორი გამოცემაც გასცდება, რადგან ჩვენც არა ერთხელ და არა ერთისა და ორისაგან გვსმენია ამ გვარიგე საუბარი. კარგს ინებებდა რომელიმე ქართველ წიგნების გამომცემელი ეკისრნა ნინოშვილის ნაწარმოებთა გამოცემა და მით დაეკმაყოფილებია ხალხის სიმშვიერი მოთხოვნილება

— რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთელი.

Дозв. цензуры. Тифлисъ, 6 Ноября 1896 г. Тип. Т. М. Ротиніянца — ტ. ᲗᲐᲛᲐᲠᲐ Თ. ᲠᲝᲢᲘᲜᲘᲐᲜᲪᲘᲡ. Год. изд. № 41.